სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/58 **18.09.2018 წ.**

გამოცხადდეს მიღება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. **დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა**

   გერმანული ლიტერატურა - 1 ადგილი
   ფრანგული ლიტერატურა - 1 ადგილი
   ამერიკული ლიტერატურა - 2 ადგილი

საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი

გარემოს დაცვის ინჟინერია
2 ადგილი

აგრარული ფაკულტეტი

აგრონომია
3 ადგილი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა

10 ადგილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფუნქციათა თეორია
1 ადგილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში შემოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

● განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);

● პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი დედანთან ერთად;

● სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

●მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი;

● თუკი დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა მაგისტრატურა დაამთავრა მიმდინარე წელს და მას ჯერ არა აქვს დიპლომი ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა;

● საბუთების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში დოქტორანტურაში ჩარიცხულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტს შეუჩერდება სტატუსი;

● ნიშნების ფურცელი

● ჩარიცხვის კანდიდატმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განაცხადი სადოქტორო პროგრამის მითითებით;

●სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შრომები, კონფერენციებში მონაწილეობა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

● თუკი დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატს არა აქვს სამეცნიერო შრომები, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამის დარგში დაწერილი რეფერატი.

● ვაჟებისათვის სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი

●მომსახურების ღირებულების 30 ლარიანი გადასახადის ქვითარი.

საბანკო რეკვიზიტები:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057289 დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების მომსახურება. სტუდენტის პ/მ ნომრის ჩვენებით.

საბუთების მიღება იწარმოებს 2018 წლის 18 სექტემბრიდან 2018 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე კვირის გარდა დილის 10 საათიდან 16 საათამდე დოქტორანტურის განყოფილებაში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი #1105), შაბათს საბუთების მიღება იწარმოებს 10 საათიდან 14 საათამდე.

გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ჩატარდება 2018 წლის 27 სექტემბერს, ხოლო სპეციალობაში 2018 წლის 28 სექტემბერს.

საფუძველი: ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათები; ამონაწერები ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმებიდან

რექტორი: პროფ.გიორგი ღავთაძე